მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია

ჟენევის დეკლარაცია
ექიმის ფიცი[1]

ვუერთდები რა სამედიცინო პროფესიის წარმომადგენელთა რიგებს,

საზეიმოდ ვფიცავ:

- ჩემი ცხოვრება მივუძღვნა ადამიანის სამსახურს;
- ღირსეული პატივი და მადლიერება მივაგო ჩემს მასწავლებლებს;
- კეთილსინდისიერად და ღირსეულად შევასრულო ჩემი პროფესიული მოვალეობა;
- პაციენტის ჯანმრთელობა გავიხადო ჩემს უმთავრეს საზრუნავად;
- შევინახო ჩემთვის განდობილი საიდუმლო, პაციენტის სიკვდილის შემდეგაც კი;
- შეძლებისდაგვარად დავამკვიდრო საექიმო პროფესიის კეთილშობილური ტრადიციები;
- პატივი მივაგო კოლეგებს;
- არ დავუშვა პაციენტის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, აღმსარებლობის, რასის, სქესის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური მდგომარეობის ზეგავლენა ჩემი პროფესიული მოვალეობის აღსრულებაზე;
- კვლავაც უზენაესად ჩავთვალო ადამიანის სიცოცხლე მისი დასაბამიდან, ვერავითარმა ძალამB ვერ მაიძულოს გამოვიყენო სამედიცინო ცოდნა კაცთმოყვარეობის კანონების წინააღმდეგ;

ამ აღთქმას ვდებ საზეიმოდ, ნებაყოფლობით და სინდისის კარნახით.

---

[1] ფიცის თარგმანი შესრულებულია საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოების მიერ გურამ კიკნაძისა და გივი ჯავაშვილის ხელმძღვანელობით.